

მწყერის მოშენების პრაქტიკული

ცნობარი



. ზუგდიდი, სოფ. კორცხელი, ინდ. მეწარმე ელისო კვარაცხელია – ჰყავს 500 ფრთა.

. ქუთაისი, შპს „გოდოგანი“ – 800 ფრთა.

1ცალი ცოცხალი მწყერის სავარაუდო შესაძენი ფასია 5ლარი.

კვერცხი– 1ცალი – 20 თეთრი.

დაკლული მწყერი 1ც. 2.50 ლარი



მწყერის მოსაშენებელი და შესაძენი მეურნეობები

დღეისათვის საქართველოში შემდეგი მომქმედი მეურნეობებია:

. შპს „ნიკორა“, სადაც მოშენებით მოჰყავთ 3500 ფრთა სადედე გუნდი.

. მცხეთის რ–ნი სოფ. ნაოზა ინდ. მეწარმე „თამაზ მოსულაშვილი“ – ჰყავს 1500 ფრთა.

სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი

ზემოთაღნიშნული უწყებების სპეციალისტების მიერ შემუშავდა ცნობარი, რომელიც დაეხმარება მცირე ბიზნესში დასაქმებით დაინტერესებულ პირებს მინიმალური დანახარჯების გაწევით დაკავდნენ

მიკრომეწარმეობის სექტორში კონკრეტული მიმართულების საქმიანობით.

წარმოდგენილი ცნობარი ითვალისწინებს დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას მწყერის მოშენებისა და გამოზრდის შესახებ, მისცემს ფერმერს მინიმალურ ინფორმაციას ამ საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით.

მწყერი და მისი დანიშნულება

ცხრა საუკუნეზე მეტი დასჭირდა მსოფლიოს, რომ გაეცნო ისეთი ყოველმხრივ საინტერესო ფრინველი, როგორც მწყერია. დეკორატიული მიზნებისათვის მოშინაურებულმა მწყერმა მოგვიანებით მრავალმხრივი გამოყენება ჰპოვა. დღეს ის ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, თუმცა მემწყერობამ ინტენსიური განვითარება მაინც თავის სამშობლოში – იაპონიაში ჰპოვა. სამრეწველო მემწყერობა განვითარებულია ჩინეთში, ჩრდ. კორეაში, ინგლისში, აშშ–ში, პოლონეთში, ბულგარეთში, რუსეთში და სხვა. მისი ნაირსახეობიდან აღსანიშნავია იაპონური, ჩინური, კალიფორნიული, ვირჯინიული, მანჯურიული ოქროსფერა, სმოკინგანი. მწყერი ქათმისებრი ყველაზე მცირე ზომის ფრინველია, რომელიც გამოიყენება სასოფლო–სამეურნეო წარმოებაში. მისი ცოცხალი წონა სულ რაღაც 100–130 გრამია, ხოლო კვერცხის მასა 12–18 გრამი. ჩვეულებრივ (გარეული) მწყერს გარედან მოყვითალო–წაბლისფერი ბუმბული ფარავს მუქი და ბაცი სიჭრელით, მუცელი კი მოყვითალო–თეთრი ფერისაა. მწყერი თვის განმავლობაში საშუალოდ 20–25 მოყავისფრო, შავ–ყავისფერკოპლებიან კვერცხს დებს. ბუდობას გაზაფხულზე, აპრილ–მაისის თვეში იწყებს. კვერცხზე მხოლოდ დედალი ზის და ჩეკას ბოლო კვერცხის დადებიდან 16–17 დღის შემდეგ იწყებს. მამალი არავითარ მონაწილეობას არ იღებს არც გამოჩეკვაში და არც მოზარდის (ჩოჩორი) გამოზრდაში. კვერცხებიდან ჩოჩორი ხშირ ღინღლიანი საფარველით იჩეკება და როგორც კი მოშრებიან, უმაღლეს ტოვებენ ბუდეს. ჩოჩორის მასა საშუალოდ 5.5 გრამს შეადგენს. იგი ძალიან სწრაფად იზრდება და 35–40 დღის ასაკში ზრდასრული ფრინველის მასას აღწევს. მწყერზე მოთხოვნა დღით–დღე იზრდება.

ეს განპირობებულია მისგან მიღებული პროდუქციის უნიკალურობით. დიეტური თვისებებით გამორჩეული მწყერის ხორცი ცვრიანი, არומატული და ნაზია. ხასიათდება მაღალი საგემოვნო თვისებებით და იგი გარეული ფრინველის ხორცს უახლოვდება. საყუათო ნივთიერებები მასში გაცილებით მეტია, ვიდრე ქათამში. 1გრ მწყერის კვერცხში 2.3-ჯერ მეტია: ვიტამინი A, 2.8-ჯერ ვიტამინ B1 და 2.2 B2 -ის შემცველობა. ხუთი მწყერის კვერცხი, რომელიც მასით ერთ ქათამისას უტოლდება – ფოსფორისა და კალციუმის დონით 5-ჯერ, ხოლო რკინისათი კი 4.5-ჯერ აღემატება ამ უკანასკნელს.

ჩეკვისა და ზრდის პერიოდი

მწყერი კვერცხდებას ძალიან ადრეულ ასაკში (35-40 დღიანი) იწყებს, როცა მისი ცოცხალი მასა 100 გრამამდე აღწევს. კვერცხის დადების შემდეგ ფრინველი 1-2 დღით ისვენებს. წელიწადში მწყერი 250-300 მდე კვერცხს დებს. კვერცხის დებას იწყებს შუადღის შემდეგ ან გვიან საღამოს. კვერცხების დების შორის შუალედი 30 საათია. კვერცხის განაყოფიერება შეადგენს 70-85%-ს, გამოჩეკვის პროცენტული მაჩვენებელი ინკუბატორში საკმაოდ მაღალია – 80-90%. მწყერის ჩოჩორი მე-17-18 დღეში იჩეკება და ჩეკვის პროცესი 4-5 საათში მთავრდება. მოზარდის შენარჩუნების პროცენტული მაჩვენებელი გამოზრდისას პირველ თვეს 90-95%-ია, მეორე თვეს კი 98%. მწყერს გალიაში 10 წლამდე შეუძლია იცოცხლოს. ამ ფრინველს ჩვეულებრივ ოჯახებად ინახავენ – მამალს და რამოდენიმე დედალს. შემოდგომით მწყერი ძალიან სუქდება. გარეული მწყერისაგან განსხვავებით მუქი მწყერი თავს არიდებს რა მაღალ ბალახს, უპირატესობას ტენიან მდელოებს ანიჭებს. გაზაფხულობით ის გვხვდება ძალიან ნესტიან და დაჭაობებულ მდელოებზე. სიცოცხლის პირველ დღეებში მწყერი იკვებება წვრილი მწერებით, მატლებით და უხერხემლოებით, მცენარეების ფოთლებითა და ყლორტებით, ასევე მარცვლოვნებით.

როგორ დაეწყეთ საქმიანობა?

მწყერის მოშენება არ წარმოადგენს შრომატევად სამუშაოებისა და ფულადი სახსრების ჩადების აუცილებლობას. თავიდანვე მიზანშეწონილია დავიწყოთ ეს ბიზნესი საქმიანობა 300-მდე მოზრდილი მწყერის შეძენით (250 მდედრი და 50 მამალი). სახლის პირობებში შესაძლებელია დამზადდეს რამდენიმე იარუსიანი გალია, რომელიც დაიდგება მისთვის გამოყოფილ ადგილას, რომელიც დაცული უნდა იყოს სიცივისაგან.

მწყერის მოშენება ბიზნესის თვალსაზრისით იმითაა საინტერესო, რომ გამოზრდის საწარმოო ციკლი განისაზღვრება მოკლე პერიოდით, რის შედეგადაც საქმიანობაში ჩადებული ძირი თანხის დაბრუნება მოგებით შესაძლებელია ნახევარ წელიწადში. ეს იმითაა განპირობებული, რომ მწყერი გამოჩეკვიდან 2-3 თვეში აღწევს ზრდასრულ ასაკს, ხოლო კვერცხდებას იწყებს 2 თვის ასაკიდან, ამიტომ ნახევარ წელიწადში შესაძლებელია ფერმერმა გაიაროს ხორცის მიღების სამი საწარმოო ციკლი და მიაღწიოს კვერცხწარმოების უმაღლეს პიკს. 10-12 კვადრატულ მეტრში შესაძლებელია განთავსდეს 1000-მდე მწყერი. გალიაში უნდა გვქონდეს 18-22 გრადუსი სითბო, რომელიც არ უნდა იცვლებოდეს; აუცილებელია შესაბამისი ტენიანობა; ოთახი, სადაც იქნება მოთავსებული გალიები – ხშირად უნდა ნიავდებოდეს. არ უნდა დავუშვათ ხმაური, ვინაიდან სტრესულმა მდგომარეობამ შესაძლებელია მიატოვებინოს მწყერს კვერცხდება. გალიები უნდა გვქონდეს ცალკე ახალგამოჩეკილებისთვის, მოზრდილებისთვის და ცალკე ადგილი საინკუბაციოდ.

ერთ-ერთ მთავარ საკითხს მწყერის მოშენებისას წარმოადგენს მისი კვება. მოზრდილი მწყერი დღეში იკვებება 30-35 გრამით. მაგალითისთვის, რაციონი შეიძლება ასე შევადგინოთ: დაფქვილი სიმინდი 30% და ხორბალი 35%, იქვე შეიძლება დავამატოთ თევზის ფქვილი, ცარცი და პრემიქსი. უკეთესია შეძენილ იქნეს სპეციალიზირებული საკვები, რომელსაც გამოჩეკვის დღიდან ვაძლევთ 25-28 დღის პერიოდით. ასეთი საკვები შეიცავს პროტეინებს, ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს. გამოჩეკვიდან ორი კვირის შემდეგ მწყერი აღწევს დასაკლავ მასას(300გრ). ამ პერიოდში მეურნე თითოეულ ფრთაზე მიაწვდის 320-გრ-მდე საკვებს, ანუ დღეში 22გრამი, რაც საშუალოდ 0,33 ლარია (1კგ-1,1ლარი). გარდა საკვებისა, მათ გამოზრდაზე დანახარჯია გათბობის, განათების, მუშა ხელი და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი. მთლიანობაში ფერმერს

ერთი ფრთის გამოზრდა დაუჯდება 1,80ლარი, სადაც თითოეული ფრთიდან მოგება შეადგენს 0,70 ლარი(დაკლულის სარეალიზაციო ფასი2,50ლ.) .



ქ.თბილისი

2014 წ